**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 198 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 198

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ, თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


24 აგვისტ. გარდაიცვალა, ქ. ტფილისში, **ს. კურდღელოვის** სახლში,

**ივანე გლახას ძე კაკაბაძე,**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილი განსვენებულისა **დავით ივანეს ძე**, ნათესავი **სოლომონ კურდღელაშვილი** პანაშვიდი გადახდილ იქმნება პარასკევს დილით 9 საათზედ. ოქროევის ქუჩაზედ, ჯიგრაშენის პირდაპირ, სურგუნოვის სახლში. წაასვენებენ კახეთში, იმავე დღეს დასაკრძალავად ველისციხის ღვთისმშობლის ეკკლესიის გალავანში. (1—1)

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „

„ „ „ „ ქალაქ გარეშ . . 2 „ 50

შენიშ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.


## ცირკი ვ. რობინესი

მთავრობის ნება-დართვით ქ. ტფილისში.

(მიხაილოვის პროსპექტი, მუშტაიდის ახლოს)

**პარასკევს, 27 აგვისტოს,**

**დანიშნულია საცხენოსნო-საგიმნასტიკო წარმოდგენა,**

**სამის განყოფილებით.**

მიიღებს მონაწილეობას ცნობილის სახელ-გათქმულ **არტისტ რიხტერის** სახლობა, რომელშიაც 12 სულია: ცხენოსნები, სამუსიკო კლოუნები, ჯამბაზ-მასხარები და სხვ. ბოლოს პანტომიმა **„ბოშების ბანაკი“** სიმღერითა და ცეკვითა.

ფასი ბილეთებისა ჩვეულებრივი. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

დირექტორი **ვ. რობინე.**

გამგებელი **ნ. ხორინი.**

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—20). (იხ. განცხ. მე-4 გვ.). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

მთრგულ ადმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

**სამეურნეო სკოლაში**, დაარსებულს 4 სეკდემბრის 1883 წელსა, სოფელ წინამძღვრიანთ-კარში, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, პირველ სეკდემბერის ამა წლისას, გამოცდის შემდეგ, მიიღებენ მოსწავლეთ პირველ სპეციალურ კლასში; მოსწავლენი უნდა იყვნენ ჯანმრთელნი, 13-14 წლისანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სპეციალური კლასები სამეურნეო სკოლისა, სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეთიკიულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტოდ-მარტო ვარჯიშობით სამეურნეო ცოდნის იმ დარგს, რომელსაც თვით მოსწავლენი ამოირჩევენ.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნიკ. ლომაურისა.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотноcти.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზხერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ურდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**ბძელიშეილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოევისა. № 5

**ბაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ბარონის ქუჩა, № 18, მესხიშვილის სახლი, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულებით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტუღუშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 **ს.** სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კროვატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროვატით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)


## უმაღლესი მანიფესტი

(შემდეგი *)

**XX.** ნებას ვაძლევთ შინაგან საქმეთა მინისტრს, დაუბრუნოს ვოლოსტის სასამართლოს მიერ როზგით დასჯილ გლეხთ ის უფლება, რომელსაც ამგვარად დასჯილნი ჰკარგავდნენ თანახმად კანონთა კრებ. მე-IX ტომის მე-182 მუხლისა, ესე იგი, უფლებას საგლეხო დაწესებულებაში სამსახურისას.

**XXI.** იმ პირთ, რომელთაც დანაშაულობისათვის ადმინისტრაციის მიერ მიესაჯათ ჯარიმის გადახდა, ეპატიოთ ჯარიმა იმ წესითა და იმ რიგით, რომელიც აღნიშნულია ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის 1, 10 და 11 პუნქტებში.

**XXII.** განთავისუფლებულ იქმნან ხაზინის ფულის გადასახადისაგან დამნაშავეთა და აგრეთვე შეუძლებლობის გამო პასუხისგებაში მიცემულთა მემკვიდრენი, თუ დანაშაულობის ჩადენიდან მემკვიდრის დაბადების დღემდე 10 წელიწადი გავიდა.

**XXIII.** სახელმწიფო, სატყეო და სამთო უწყებათა, ხელმწიფისა, სამეფოს კარისა და ჩვენის კაბინეტის ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების ტყეების დამცველ რაზმის მოხელეთა და მსახურთ, აგრეთვე გლეხთ, ეპატიოთ ჯარიმა, რომელიც მათ დაეკისრა ტყის ურიგოდ მოვლისა და აჩეხისათვის, აგრეთვე ტყის დაცვის სხვა წესების დარღვევისათვის, რაც ჩადენილ იქმნა მემკვიდრის დაბადებამდე. ეს წყალობა არ ეხება იმ მოხელეთა და მსახურთ, ვინც ანგარების მიზეზით დაარღვევინა სხვას ან თვითონ დაარღვია სატყეო წესი და კანონები.

**XXIV.** განთავისუფლებულ იქმნან სასამართლოსა და სასჯელისაგან ისინი, ვისაც მემკვიდრის დაბადებამდე დაბრალდა ჩვენის კაბინეტის მამულებში ქვანახშირისა, ქვისა, თიხისა და სხვ. ამგვარის ნებადაურთველად გატანა.

**XXV.** განთავისუფლებულ იქმნან სასჯელისა, აგრეთვე გამოძიებისა და სასამართლოში მიცემისაგან ისინი, ვინც სამხედრო ბეგრის მოხდა აიცდინა თავიდან, თუ ასეთი დამნაშავენი მემკვიდრის დაბადებამდე გამოცხადდნენ მთავრობასთან ან მემკვიდრის დაბადების დღიდან ერთის წლის განმავლობაში გამოცხადდებიან.

**XXVI.** საზღვარ-გარედ მცხოვრებ რუსის ქვეშევრდომნი, რომელნიც სასჯელთა დებულების მე-325 და მე-326 მუხლების ძალით არიან პასუხის გებაში მიცემულნი (კანონთა კრებ. ტომი XV, 1885 წ.), განთავისუფლებულ იქმნან ამ მუხლებში აღნიშნულ სასჯელისაგან; მხოლოდ რუსეთში დაბრუნების შემდეგ ორის წლით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყვნენ.

**XXVII.** კავკასიისა, თურქესტანის და ომსკის საგენერალ-გუბერნატოროთა მკვიდრთ, რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე, ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით, სხვა-და-სხვა დანაშაულობისა და ცუდ ყოფაქცევის გამო ადმინისტრატიულის წესით გაგზავნილ იქმნენ ევროპისა და აზიის რუსეთის გუბერნიებში და რომელთაც წინანდელი მანიფესტები არ შეეხო, — ყველა ამ მკვიდრთ, თუ ეხლა კარგის ყოფაქცევისანი არიან, შემდეგი შეღავათა მიენიჭოთ: ვინც უვადოთ იქმნა გაგზავნილი, 12 წ. შემდეგ განთავისუფლებულ იქმნას პოლიციის ზედამხედველობიდან და მიეცეს უფლება, აირჩიოს საცხოვრებლად ადგილი ყველგან, გარდა სატახტო ქალაქების გუბერნიებისა და აგრეთვე იმ მხრისა (კავკასიისა, თურქესტანისა, ომსკის საგენერალ-გუბერნატორო), რომლიდანაც იგი გადასახლებულ იქმნა. ვინც 5 წ. მეტის

*) იხ. ივერ. № 196.

ვადით იქმნა გაგზავნილი, იმას აღნიშნული შეღავათი მიენიჭოს 5 წლის შემდეგ, ხოლო ვინც 5 წელზე ნაკლებ ვადით არის გაგზავნილი, იმას სანახევროდ შეუმცირდეს გადასახლების ვადა. თუ განთავისუფლებულმა კაცმა თავის სამშობლოში ცხოვრება მოინდომა, ამისათვის ამისათვის ნებარ-თვა უნდა აიღოს უმაღლესს ადგილობრივ მთავრობისაგან. იმ გაგზავნილთ, რომელთაც ვადა წინანდელმა მანიფესტებმა შეუმცირეს, ეხლა კიდევ შეუმცირდეთ ვადა ერთის წლით.

XXVIII. 1) ცუდის ყოფა-ქცევისათვის სასოფლო ყრილობის დადგენილებით ადმინისტრატიულის წესით გაგზავნილთ, თუ ამ ჟამად კარგის ყოფა-ქცევისანი არიან, ნება ეძლევათ (მე-23 მუხლი, მე-205 მუხლის დამატებისა, ტომი XIV, 1902 წლის გაგრძელ.) გადავიდნენ და ჩაირიცხნენ სხვა გუბერნიებსა და სოფლის საზოგადოებებში; შეუძლიანთ იმავ საზოგადოებებშიაც ჩაირიცხნენ, რომლებიდანაც გაძევებულ იქმნენ; მაგრამ ამისათვის საჭიროა შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობა. 2) ადმინისტრატიულის წესით მოქალაქეთა საზოგადოებაის დადგენილებათა თანახმად ციმბირში გაგზავნილთ, აგრეთვე იმათ, ვინც სასჯელის მოხდის შემდეგ თავის სასოფლო და სამოქალაქო საზოგადოებაში აღარ იქმნენ მიღებულნი, ნება ეძლევათ ჩაირიცხნენ სხვა გუბერნიასა და საზოგადოებაში, თუ ამ ჟამად კარგ ყოფა-ქცევისანი არიან; გარდა ამისა, თუ სხსენებულმა გლეხებმა მოისურვეს ისევ თავის საზოგადოებაში ჩარიცხვა, ამისათვის ნებართვა უნდა აიღონ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან.

XXIX. ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის 1, 4, 14, 16—23 პუნქტებში აღნიშნული შეღავათები შეეხება სახელმწიფო დამნაშავეთაც, შემდეგის წესების დაცვით: 1) ნებას ვაძლევთ იუსტიციის მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანახმებით, წარმოგვიდგინოს განსაკუთრებული უქვეშევრდომილესი მოხსენებანი წინანდელ უფლებათა აღდგენის შესახებ იმ სახელმწიფო დამნაშავეთათვის, რომელთაც დაასრულეს ციმბირში გაგზავნის ვადა და კარგის ყოფა-ქცევითა და შრომის-მოყვარეობით დაიმსახურეს თავის მდგომარეობის შემსუბუქება. 2) ამ მანიფესტის მე-XIX მუხლის მე-16, 17, 18, 19, 20 და 23 პუნქტებში აღნიშნულ წყალობათა მინიჭება იმ სახელმწიფო დამნაშავეთათვის, რომელნიც ეხლა იხდიან სასჯელს, ევალება ჩვენს მოადგილეს შორეულ აღმოსავლეთში, ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორს და ადგილობრივ გუბერნატორებს. 3) დაივიწყებას მიეცეს ყველა ის საქმეები სახელმწიფო დანაშაულობათა შესახებ, რომელიც მემკვიდრის დაბადების დღემდე, 15 წლის განმავლობაში, დაფარული იყო. 4) დაივიწყებას მიეცეს აგრეთვე საქმეები იმ დანაშაულობათა შესახებ, რომელიც აღნიშნული არის სასჯელთა დებულების 103, 104, 106 და 107 მუხლებში (1903 წლის გამოცემ.) და რომელიც მემკვიდრის დაბადების დღემდე დაფარული იყო. ამ მუხლებში აღნიშნულ დანაშაულობათა ჩამდენთ ეპატიოსთ დანაშაული და სასჯელი და დაუბრუნდესთ უფლებანი. 5) ისინი, რომელთაც ადმინისტრატიული სასჯელი მიესაჯათ, თანხმად სისხლის სამართლის დებულების 1035 მუხლისა (კანონ. კრებ. ტომი XXI, ნაწ. I, 1892 წ. გამოც.), ან და თანხმად სახელმწიფო წესიერების დაცვის დებულების 32—36 მუხლებისა და რომელნიც მემკვიდრის დაბადებამდის სრული წლოვანნი არ გამხდარან, სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნან. 7) ვისაც ამავე წესით მიესაჯათ 6 თვეზე მეტი დაპატიმრება ან 1 წელიწადზე მეტი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა, იმათ სასჯელი ერთის მესამედით შეუმცირდეთ, თუ ამ ჟამად კარგის ყოფაქცევის არიან. 8) ამ მანიფესტის მე-XXIX მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნულ წყალობის მინიჭება ევალება ჩვენს მოადგილეს შორეულ აღმოსავლეთში კავკასიის მთავარ-მართებელს, გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს და გრადონაჩალნიკებს. 9) შინაგან საქმეთა მინისტრს ნებას ვაძლევთ, წარმოგვიდგინოს შუამდგომლობანი იმ პირთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ, რომელნიც მემკვიდრის დაბადების დღემდე თავის ნებით გადაიხვეწნენ სხვა სახელმწიფოებში, სახელმწიფო დანაშაულობის ჩადენის გამო, და რომელთაც სისხლის სამართლის დებულების (1903 წ. გამოც.) 99 მუხლში აღნიშნული ბოროტ-მოქმედება არა ჰბრალდებათ, თუ ესენი მოისურვებენ სამშობლოში დაბრუნებას და თუ ტახტისა და სამშობლოსადმი ერთგულებას და სინანულს გამოაცხადებენ.

(დასასრული ხვალ)

## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

ლიაოიანის ომი.—გერმანელ გენერალის აზრი.—წვრილი ცნობები.

ევროპიელ კორესპონდენტებს არ ეგონათ, რომ იაპონელები იერიშის მიტანას გაჰბედავდნენ ლიაოიანზე; ეს მხოლოდ მოწინავე რაზმების შეხლაა და იერიშისათვის კი საკმაო ძალა არა აქვთ, რადგან რუსებსაც დიდი ჯარი ჰყავთ შეგროვილი და ლიაოიანიც კარგად არის გამაგრებული.

ლიაოიანის გარშემო მრავალკეცი თხრილებია და სანგრები ქვეითის ჯარისა და არტილერიისა. რა ადგილსაც რუსები უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევენ, იქ საუკეთესო სიმაგრეებიც გაუკეთებიათ, ზედ მიწა წაუყრიათ და, მტერმა რომ არ შენიშნოს, ბალახითა და ხავსით წაუფარებიათ; აქა-იქ ჩირგვებიც კი დაურგავთ. მანამ ზედ არ წაადგები და კარგად არ დააცქერდები, ვერ დაატყობ, თუ აქ ნაყარი მიწაა და შორიდგან ხომ ვერც კი მიხვდები, დურბინდითაც რომ სინჯო. რადგან ეხლანდელ თოფის წამალს ბოლი არა აქვს, ამ სანგარებიდგან ისე ისვრიან თოფს, რომ ვერავინ შენიშნავს, სად და რა ადგილს არის არტილერია.

როგორც პორტ-არტურის ბრძოლა გვარწმუნებს, რუსები მრავლად აკეთებენ ხვრელებს და შიგ ნალმებს აწყობენ ასაფეთქებლად, როდესაც მტერი ზედ შესდგება. თავის ბანაკის შორი-ახლო მავთულის ღობეებს აკეთებენ, რომელიც მტერს აბრკოლებს იერიშის დროს. თუ მაინცა და მაინც მტერი ამ ღობეს მოაწვა და გადმოქელა, რუსები ნალმს ააფეთქებენ და მტერს შეჰმუსრავენ. ამისთანა სიმაგრეების ასაღებად საჭიროა, რომ იერიშის მომტანს ცხრად მეტი ჯარი ჰყავდეს და დანაკარგს არ ერიდებოდეს. იაპონელებს კი ისე დიდი ჯარი არა ჰყავთ, შედარებით, რომ ლიაოიანში რუსებს შეებრძოლონ. უფრო საფიქრებელია, რომ ისინი, ჩვეულებისამებრ, გარს მოუვლიან და გზის გადაჭრას ეცდებიან. (ნ. ვ.).

—

«ბერლინერ ტაგ.»-ში დაბეჭდილია წერილი ერთ წარჩინებულ გენერლისა ლიაოიანის ომის შესახებ.

ერთს მხარეს რუსის ლაშქარია, რომელშიაც 190,000 მეომარია. ამ ლაშქარს კარგი სიმაგრეები უჭირავს ლიაოიანის გარშემო 30—50 ვერსის მანძილზე. მეორე მხარეს 240,000 იაპონელია, რომელიც რუსის სიმაგრეებს შემოჰხვევია აღმოსავლეთით, სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით. თვით ეს ამბავიც მეტად საყურადღებოა... 130-მილიონიანი ერი ებრძვის იაპონიას, რომლის მცხოვრებთა რიცხვიც 48 მილიონს არ აღემატება, და აქ კი დიდს ერს ნაკლები მეომარი ჰყავს, ვიდრე მისს მოპირდაპირეს. ძველადგანვე მამაცად ცნობილი რუსები, ძლევა-მოსილნი მრავალს ომსა და ბრძოლაში, დღეს ისეთ გარემოებაში არიან დაყენებული, რომ მხოლოდ თავი უნდა დაიცვან და მოიგერიონ ერი, რომელიც ამ 40 წლის წინად არავის არ ახსოვდა.

რუსების ასეთ მდგომარეობის მიზეზი ბრძოლის ველზედ ცნობილია და დღეს მხოლოდ ის არის გამოსაცნობი, შესძლებენ რუსები ერთის დაკვრით ანგარიშის გასწორებას და წინანდელ თავის შეცდომის გასწორებას, თუ ვერა. დაწმუნებული ვართ, რომ რუსები ჩვეულებრივის სიმამაცით იბრძოლებენ. ეხლა იმათ კარგი სიმაგრეები აქვთ და ახალი არტილერიაც მოემატათ საუკეთესო ზარბაზნებით. რუსების არტილერია თითქმის უდრის იაპონელებისას, რომელიც წინად ბევრით სჯობდა. ამას გარდა, ლიაოიანში ახალი მორტირებიცა აქვთ და იაპონიის არტილერიას ადვილად გასცემენ პასუხს.

ხოლო სიმაგრეები რუსებს უპირატესობას არ მისცემს, თუ იაპონელები ისე თავისუფლად იმოქმედებენ, როგორც უნდათ. რუსები მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებენ, თუ დროს შეურჩევენ და მტერს დაეცემიან, სადაც ურჩევნიანთ. მხოლოდ მაშინ დაამარცხებენ იაპონელებს და ომს ბოლოს მოუღებენ. (ნ. ვ.).

—

გენერალი კუროპატკინი 14 დღის ბრძოლის დროს მუდამ მოწინავე ჯარში იყო და საშიშ ადგილს არ ერიდებოდა. რამდენიმე ყუმბარა იმის ახლოს დაეცა და გასკდა თურმე და იმის ამალიდგან რამდენიმე აფიცერი მოუკლა. ნ. ვ.).

—

ხარბინიდგან 19 აგვისტოს დეპეშით იწერებოდნენ, რომ, სხვათა შორის, აფიცერი ოქროპირიძეც დაიჭრაო. (პ. ვ.).

## ტფილისი

28 აგვისტოს ქართველ წმ. მოწამე დედოფლის შუშანიკას დღესასწაულია, რომლის წმიდა ნაწილნიც ტფილისის მეტეხის ციხის ეკკლესიაში განისვენებს. ეპისკოპოსი ექვთიმე ამის გამო შეასრულებს ამ ეკკლესიაში ღამისთევის ლოცვას დღეს, პარასკევს, 27 აგვისტოს, და ხვალ, შაბათს, 28 აგვისტოს სწირავს.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს გადაეცა განსახილველად საქმე ქუთაისის გუბერნიის გლეხთა: სოფ. წიაღომანის მცხოვრების ბეგლარ ზაქრაძისა, სოფ. აბაშის (ქუთაისის მაზრა) მცხოვრების იერემია პავლეს ძის ჯინჭველაშვილისა, სოფ. ჩხუტურის—სერგო ნიკურაძისა და აზნაურ დავით კობალაძისა. ყველა ამათ ჰბრალდებათ ამ წლის 22 იანვარს, წინდაწინვე ურთიერთ-შორის მოლაპარაკებით, ბელგიის უსახელო საზოგადოების კანტორაზედ შეიარაღებული თავდასხმა და 43 მან. წაღება. ბრალდებულნი მეტეხის ციხეში არიან დაპატიმრებულნი.

*** 24 აგვისტოს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ ხალხის დაუსწრებლად განიხილა საქმე ერევნის მაზრის სოფ. ვაღარშაპატის მცხოვრების კელამ აბრამიანცისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ეჩმიაძინის მაზრის უფროსის კაპიტან შმერლინგის მოკვლის განზრახვა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ბ-ნი გ. ს. ზავრიევი. საღამოს 9 საათზედ სამხედრო-საოლქო სასამართლომ ხალხის დასწრებით გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც გამართლებულ იქმნა ბრალდებული.

*** 23 აგვისტოს სხდომა ჰქონდა ტფილისის ქალაქის სასანიტარო კომისიას, რომელმაც მოისმინა ოქმი ტფილისის „კრუჟოკის“ დათვალიერების შესახებ. „კრუჟოკის“ სადგომი ანტისანიტარულ

---

## ფელეტონი

### მეზობლები.

დრამა ოთხ მოქმედებად.

მომქმედნი:

1) ილიკო მენაბდიშვილი.
2) მაი, დედა მისი.
3) ილიკა } ტყუპი და-ძმანი; ობოლი
4) სოსიკო } ძმის წულები ილიკოსი.
5) თ-დი ირაკლი მარშანიძე, შეძლებული მემამულე.
6) კნეინა კატო, მეუღლე ამისი.
7) თავადის ასული კატო, და ირაკლისა 20 წლისაა.
8) ინჟენერი ლუარსაბ გელოვანიძე.
9) რობერტ ადოლფოვიჩ ფონ-ბილლერ, სოფლის ექიმი.
10) ევგენი პავლოვიჩ გრუშევსკი, სამხედრო ექიმი, მდაბიო ხალხში პაპად წოდებული, 60 წლისაა.
11) ლუკა სუთიძე, სოფლის ცრუ ინტელიგენტი, ხალხში ტყუილ კნიაზად წოდებული.
12) კარჭაულა, მოურავი.
13) ნიკო ლაქია, მოსამსახურენი, მაყრიონი და სხვა.

მოქმედება სწარმოებს გასულ XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს.

—

### მოქმედება პირველი.

სცენა წარმოადგენს მდიდრულად მორთულ დარბაზს თ-დ ირაკლი მარშანიძის ორ-სართულიან სახლისას. კედლები აჭრელებულია სხვა და სხვა გვარ ძვირფას ჩარჩოში ჩასმულ სურათებით, ძველებურ საომარ იარაღით. შუა შუბლზე ჰკიდია ერთი დიდი ჭაღი. ჩამწკრივებულია აგრეთვე ძვირფას ხალიჩებით დაფენილი ტახტები, ვენის სკამები, ერთი უზარმაზარი ხალიჩა. კედელზედაც, სხვათა შორის, ერთი დიდი სურათი ჰკიდია მოხუც გენერლისა. ორგან კარებია, მარჯვნივ და მარცხნივ, მესამე კი შუაში, რომელსაც აივანში გაჰყავხართ. აივნის მხრიდგან ორი-სამი ფარჯარაა, ასე რომ მოსჩანან დარბაზიდგან აივანზედ მსხდომნი: ირაკლი, ექიმი ფონ-ბილლერ და ლუკა სუთიძე, რომლებიც უსხედან ფეხი-ფეხ გადადებულნი მრგვალ, სუფთა სუფრით გადაფარებულ, მაგიდას და ყავას შეექცევიან. აივანზედ მრავალ მოზრდილ ქილებში ჩარგული ლიმონის ხეებია ჩამწკრივებული.

### გარეგანი აღწერილობა მომქმედთა.

თ-დ ირაკლი მარშანიძე 35 წლისაა, ნახევრად გაჭაღარავებული, ფერ-მკრთალი, მოქანცულ და ოდნავ წამობიჯბიჯებულ სახის კაცია. ეტყობა, დროგამოშვებით ლოთობს. აცვია ევროპიულად, ჭრელი, ზოლებიანი საზაფხულო შარვალი, კოხტა, გაპრიალებულ უძირო ჩექმებში ჩაყოლებული, მერდინის პიჯაკ-ჟილეტი და გახამებული პერანგი შავის ყელ-სახვევით.

ფონ-ბილლერი ლამაზი და კარგად შენახული 33 წლის ბაკენბარდებიანი ბლონდინია. აცვია შავი საზაფხულო ტანისამოსი, გერმანულ მოდაზედ შეკერილი.

სუთიძე თავ-მოტვლეპილი, გრძელცხვირა და თხასავე ცანცარა წვერიანი ჩოხოსან-ხანჯლოსანია. პირველ ნახვისათანავე შეამჩნევთ, რომ მელია კაცია.

ინჟენერი ლუარსაბ გელოვანიძეც ირაკლის ხნის კაცია, მხოლოდ იმაზედ კარგად შენახული, ჩასუქებული და ლამაზი. აცვია მდიდრულად ფორმის ტანისამოსი. ღილებზედ უბრჭყვრიალებს ძვირფასი ბეჭდები.

კნეინა კატო 32—33 წლის ლამაზი და ეშხიანი ქალია. პირველ ნახვისათანავე მიხვდებით, რომ არშიყი და გაქნილი არსებაა. მისი ორიგინალური ტანისამოსი, მიმოხვრა, მოკლედ შეკრეჭილი თმა, ლაპარაკის კილო, ხან ნაზი, ნარნარი, ხან კი ბოროტებით აღსავსე, ჰმოწმობს, რომ ნიჭიერი, მაგრამ თავხედი დიაცია. ყოველივე მისი საქციელი ვულგარულია.

ფარდის ახდისას კნეინა კატო და ლუარსაბი უსხედან დარბაზის ერთ კუთხეში მიდგმულ მაგიდას და რაღასაც გაცხარებით ჩურჩულებენ, ირაკლი, ფონ-ბილლერი და სუთიძე, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, აივანზედ შეექცევიან ყავას. ამათაც თითო ჭიქა ყავა უდგიათ, რომელსაც დრო გამოშვებით შეხვრეპენ ხოლმე,

**კატო.** მაშ, აგრე, იმას შეირთავ.

**ლუარსაბ.** ასე უნდა იყოს უეჭველად, რადგან თქვენს ოჯახთან ნათესაური კავშირი ყოველსავე ექვს გაჰფანტავს და მით ჩვენც მოვისვენებთ.

**კატო.** როდის ჰფიქრობ გაუმჟღავნო წინადადება?

**ლუარსაბ.** დღეს.

**კატო.** ძლივს!

**ლუარსაბ.** (ღიმილით). შენ რაღას იზამ მერე, ჯვარის წერის შემდეგ რომ მართლა შემიყვარდეს?

**კატო.** მაგას ვერ გაბედავ ჩემის შიშით. ახლავე გიცხადებ, რომ გავაუბედურებ. ეგ შეუღლება ჩვენი დაახლოვების საშუალება იქნება და სხვა არაფერი.

**ლუა.** გეხუმრე, გეხუმრე, ჩემო ციცუნია (უფრო მიუახლოვდება და რაღასაც მხიარულ ღიმილით ეჩურჩულება).

**ფონ-ბილლერ.** როგორც გავიგე, გუშინდელს თქვენს ნადირობას კარგად ჩაუვლია, კნიაზო ირაკლი.

**ირაკლი.** ვინ გითხრათ?

**ფონ-ბილლერ.** კნიაზმა რეზიკომ.

**ირაკლი.** ჰოო! არა უშავს-რა. ორი კურდღელი და სამი ხოხობი გამოვასალმე წუთი სოფელს. თქვენ კი, თქვენ, რობერტ ადოლფიჩ, რად მოიძულეთ ყორნალის მთები?

**ფონ-ბილ.** ნუ თუ გგონიათ, კნიაზო, რომ ნადირობა მარტო მთებში შეიძლება?

**ირაკლი.** როგორ?..

**ლუკა.** ხა ხა ხა! მივხვდი, მივხვდი, რასაცა ბრძანებს ბატონი ექიმი. კნიაზო ირაკლი! ექიმი, თქვენი გამოჯავრებული, ორ ფეხიანებზედ ნადირობს, ხა ხა ხა!

**ირაკლი.** ესე იგი ავადმყოფებზედ, არა?

**ლუკა.** დიაღ, ჩემო ხელმწიფევ. დიაღ. (ყველა ხარხარებს.) კარგი ხელობაა ეს ექიმობა, მე და ჩემმა ღმერთმა. ყოველ ფეხის გადადგმაზედ, ყოველ ამოსუნთქვაზედ ფული, მიჩხრიალებს ისე, თავის თავად, მარცხენა და მარჯვენა ჯიბეში.

**ირაკლი.** მით უმეტეს რობერტ ადოლფიჩი დაცურავს ამ მდიდარ და შეუმუშავებელ მადანში. (ზაღისკენ), ლუა, შენ იცი, რობერტ ადოლფიჩმა რა ჩინებული კარმიდამო შეიძინა ჩვენს ჟამოურში?

**ლუარსაბ.** (ზაღიდგან) Нуу!!..

**ირაკლი.** შენ ნუ მომიკვდები და, თუ ამას არ დაიჯერებ, მე ნუ მოგიკვდები.

**ლუკა.** შეიძინა და მერე რა იაფად!

**ლუარსაბ.** მაშ, იმედია, როგორც კულტულურ ქვეყნის შვილი, ააყვავებს და მალე თვალ-საჩინო პომეშჩიკი გახდება.

**ირაკლი.** Разумѣется, разумѣется!

**კატო.** ყველა ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ერთს ახლად გაფურჩქვნილ კნიაჟნასაც შეირთავს!

**ლუკა.** უსათუოდ ქართველთ სიძე უნდა გახდეთ, ბ-ნო ექიმო, უსათუოდ.

**ფონ-ბილლერ.** ნურას უკაცრავად, ბატონებო, თუ მაგ რჩევაზედ არ დაგყაბულდეთ.

**ირაკლი.** რატომ?

**ფონ-ბილლერ.** მე ნაციონალისტი ვარ და ამიტომ, გარდაწყვეტილი მაქვს, ნემეცის ქალი შევირთო.

**ყველანი.** ჰოო!.. ეგ კი მართალი ბრძანებაა.

### გამოსვლა მეორე.

(შემოდის ნიკო ლაქია ძვირფას ფოდნოსით ხელში და ცარიელი ჭიქა-ლამბაქები და სარძევე გააქვს. როცა ლუარსაბთან და კნეინასთან მივა).

**ლუარ.** ბიჭო, კნიაჟნა სადა ბრძანდება?

**ნიკო.** ბაღში გახლავთ!

**ლუარ.** რას აკეთებს?

**ნიკო.** წიგნსა კითხულობს.

**კატო.** ყავა ხომ მიართვა?

**ნიკო.** არ ინება! (ნიკო მივა აივანზედ მსხდომებთან).

**ირაკლი.** მოურავი ხომ არ დაბრუნებულა ჯერ, ბიჭო?

**ნიკო.** არა, ბატონო!

**ირაკლი.** როცა მოვიდეს, ჩემთან ამოგზავნე!

**ნიკო.** ბატონი ბრძანდებით (კადის სულ პატარა პაუზის შემდეგ).

**ფონ-ბილლერ.** ბატონებო, ახალი ამბავი იცით?

**ყველანი.** აბა, აბა, რობერტ ადოლფიჩ!

**ფონ-ბილლერ.** წუხელ, ნაშუაღამევს, ზოგიერთ აქაურ მოსწავლე ახალგაზრდობას, კნიაზ გენოს ხელმძღვანელობით, იერიში მიუტანიათ ერთ ლამაზ გლეხის ქვრივზედ, მაგრამ...

**ირაკლი.** მაგრამ потерпѣли фіаско, да?

**ფონ-ბილლერ.** Къ сожалѣнію, да. (ყველანი ხარხარებენ).

**ლუკა.** მიზეზი დამარცხებისა?

**ფონ. ბილლერ.** დედაკაცს კივილი დაუწყია, გამოვარდნილან ყოველ კუთხიდან გლეხები: ზოგი ცულით, ზოგი კეტებით და, რომ არ გამოესწროთ, სისხლი დაიღვრებოდა უსათუოდ. „ძილის დროსაც არ გვასვენებთ, თქვე შარლატნებოვო“, წაუძახნიათ გლეხებს და ჩემი ერთგული ავანგარდი...

**კატო.** სად იყო იმ დროს ჩემი მათრახი, რომ თავიანთ კეტებიანათ მეფრინა ის წილიანები.

**ლუარსაბ.** ქვეყანა მაშინ დაიქცა, როცა გლეხკაცს ბატონი გააშორეს.

**ირაკლი და ლუკა.** ოღონდაც, ოღონდაც.

**ფონ-ბილლერ.** კიდევ ახალი ამბავი, ბატონებო.

**ყველანი.** Серьезно? Валяйте, валяйте, Робертъ Адольфовичъ.

**ფონ-ბილლერ.** გუშინ-წინ კნიაზ ნესტორს კაჭრეთის სოფლის მასწავლებელი დაუჭერია.

**კატო.** (გახარებული) ჯან, ნესტორ... ვენაცვალე მის მარჯვენას, იცი, ირაკლი, ვინა ბრძანდება ის ვაჟბატონი?

**ირაკლი.** რაღაც არ მაგონდება.

**კატო.** როგორ თუ არ გაგონდება... აი. გაზეთებში რომ ინება ჩვენი გაბიაბრუება, «გლეხებს ცუდათ ეპყრო-

მდგომარეობაში აღმოჩნდა. საჭმელები მეტად უსუფთაოდ მზადდება, მსახურები ჭიჭყიანს ტურტლებზე უმასპინძლდებიან მოსიარულეთ, ფეხის ადგილი მეტად ბინძურად არის შენახული და სხვა. ექიმმა გონიევმა კრებას განუცხადა, ამ ჟამად ვწამლობ ერთს ავადმყოფს, რომელიც «კრუჟოკ»-ში საჭმლით მოწამლულა; ასეთი ამბავი «კრუჟოკ»-ში პირველი არ არის და უსათუოდ „კრუჟოკი“ პასუხის გებაში უნდა მივსცეთო. სხვა წევრებმა უხერხულად იცნეს ესა. კამათის შემდეგ კრებამ, 9 ხმის უმეტესობით, მიიღო წინადადება პასუხის გებაში მიცემის შესახებ. რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა მიეცეს პასუხის გებაში, „კრუჟოკის“ მამასახლისთა საბჭო თუ ბუფეტის პატრონი, კომისიამ ამის გადაწყვეტა იურისკონსულტს მიანდო. ასეთ დადგენილების შემდეგ სასანიტარო კომისიის წევრმა, ექიმმა მიხეილ ლუნკევიჩმა, განაცხადა: მე მამასახლისი ვარ «კრუჟოკ»-ისა და წევრი მამასახლისთა საბჭოსი. რადგან სასანიტარო კომისია პასუხის გებაში აძლევს «კრუჟოკ»-ს, გთხოვთ ამ კომისიის წევრობიდან გამანთავისუფლოთო, და ამ სიტყვების შემდეგ ექიმი კრებიდან გავიდა. გუშინწინ 25 აგვისტოს, სასანიტარო კომისიამ სასამართლოში შეიტანა ქაღალდი, რომლითაც სთხოვს პასუხის გებაში მისცეს «კრუჟოკის» მამასახლისნი, ორი ბუფეტის პატრონი და ზედამხედველი.

*** „საფინანსო მოამბის“ რედაქციამ სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მიაწოდოს ცნობები საძოვარ ადგილების შესახებ კავკასიაში. რედაქციას სურს გაიგოს, სად არის კარგი საძოვარი ადგილები საკლავ საქონლის გამოსაკვებად, როგორ ქირავდება ასეთი ადგილები და სხვა.

*** ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის მოსწავლენი, რომელნიც ქუთაისის გუბერნიაში იყვნენ ექსკურსიად, უკვე დაბრუნდნენ. მოსწავლეებს დაუთვალიერებიათ საქარის სანერგე, ჩაქვის ჩაის პლანტაციები, ბათუმი და სხვა.

*** პეტერბურგში დაარსდა ამ აგვისტოში ეკკლესიები მუსიკალურ თეორიისა (კომპოზიცია), სადაც ყველას ხელმისაწვდომ ფასად შეუძლიანთ სწავლა, განურჩევლად წლოვანებისა. ეს კურსები მით უფრო საყურადღებოა, რომ სწავლა შეიძლება კურსებზედ დაუსწრებლადაც, მაგალითად, თუ ცოტათი იცის ვინმემ მუსიკა ან ნოტი, შეუძლიან დასწეროს ნოტები სახელმძღვანელოდ, გაჰგზავნოს პეტერბურგში ს. ტ. აბბაკუმოვის სახელზედ (კურსების დამაარსებელია); იქ შეასწორებენ, აღნუსხვენ ყველა ნაკლს და უკანვე დაუბრუნებენ პატრონთ, რომ იმისდა მიხედვით ისწავლოს. მოსწავლეთ ლექციები უფასოდ დაეთმობათ. სოფლის მასწავლებელთ გარდაჰხდებათ თვეში 2 მანათი. კარგი იქმნება ჩვენის სოფლის მასწავლებელნი ყურადღებას მიაქცევდნენ ამ სასარგებლო კურსებს.

*** ტფ. პოლიცმეისტერმა აცნობა გუშინწინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, როგორც პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულის მოხსენებიდგანა სჩანს, ქალაქი ხიძაბავში არავითარს ყურადღებას არ აქცევს ქუჩების მოსაკირწყლავად საჭირო ქვიშასა და ქვების მოსათხრელ ადგილსა. 10 აგვისტოს ჩამოწოლილმა მიწამ ერთი მუშა—დუდუნაშვილი—მოჰკლა, ხოლო მეორე დაამავა. 19 აგვისტოს კიდევ ჩამოწვა თურმე მიწა, დატაკა იქვე მეზობლად მცხოვრების სახლს და, ცოტას გაწყდა, უბედურება არ დატრიალდა. ამის გამო მუშაობა შეჩერებულ იქმნა, ვიდრე გამგეობა საქმეს არ მოაწყობს.

*** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი: «დაკარგული სამოთხე» (პირველ ცოლ-ქმრის ცხოვრება სამოთხეში), თხზულება ჯონ მილტონისა, თარგ. ვ. ბ. აბაქოვისა. მთარგმნელს განუზრახავს მთელის ამ თხზულების («დაკარგული და უკან დაბრუნებული სამოთხე») ორ წიგნად გამოცემა. პირველი უკვე გამოცემულია, ხოლო მეორე წიგნად გამოვა «უკან დაბრუნებული სამოთხე». წიგნი სუფთად გამოცემულია და ჰღირს ორ აბაზად.

**შეცდომის გასწორება:** გუშინდელს ნომერში დაბეჭდილ ახალ ამბავში, მეორე გვერდზედ, მეოთხე სვეტზედ, ნათქვამია: «საპატიმროთა უმთავრესს სამმართველოს სთხოვა 2000 მან. გადადება»; უნდა იყოს 200 მანათი და სხვ.

# საქართველოს ამბები

როგორც გვატყობინებენ, გორის მაზრის მცხოვრებს თავ. თომა ციციშვილს თავის ცოლისათვის თავი მოუჭრია, თვითონვე გამოცხადებულა პოლიციაში და უამბნია ყოველივე დაწვრილებით. მკვლელობის მიზეზი ჯერ არ არის გამორკვეული, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეჭვიანობა იქნებოდა.

◆ «ნოვ. ობოზრ.»-ს დეპეშებით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: გამოქვეყნებულ იქმნა ბრძანება, რომლითაც სოხუმის სამხედრო საკრებულო ქუთაისის საგუბერნიო საკრებულოს დაექვემდებარება.

◆ გორის მაზრის უფროსმა აცნობა ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს, ცხინვალში ბევრი ისეთი სახლებია, რომ ჩამონგრევას ჰლამობს და შეიძლება რაიმე უბედურება მოჰხდეს, ამიტომ გთხოვთ გაჰგზავნოთ ტეხნიკოსი ამ შენობათა დასათვალიერებლად და თავის აზრის გამოსათქმელადაო.

**აბაშის საზოგადოება.** (ქუთაისის მაზრა). წლევანდელი ზაფხული აბაშის საზოგადოების მცხოვრებთათვის მეტად უკუღმართი და უბედური გამოდგა. ჯერ იყო და გამუდმებულმა და ხანგრძლივმა გვალვამ, მაისის შუა რიცხვებიდგან დაწყებულმა, სიმინდის ყანები მთლად გააჰკნო, და მერე მსხვილ ფეხა საქონლის ჭირმა ხარსა და ძროხებს სულ მუსრი გაავლო, რამაც სოფლელნი დიდ საგონებელში ჩააგდო. საქონლის ჭირი აქ გაჩნდა გურიის საბალახო მთებიდგან ჩამოდენილ საქონლით, რომელიც თითქმის ყველა გაწყდა და ზოგიც ექიმებმა გაწყვიტეს; მთაზედ დაავადებულ საქონლის წყალობით შინ მყოფი საქონელიც გაიჟლიტა. ჭირის გავრცელებაში დიდი და მიუტევებელი დანაშაული მიუძღვით იმათ, რომელთაც საბალახო მთებიდგან, წინააღმდეგ კანონისა, დაჭირიანებული საქონელი სოფლად ჩამოაპარეს და ამ გვარად ჭირი სოფლის სად საქონელსაც გადასდეს. დღეს მთელის აბაშის საზოგადოების მცხოვრებნი სასოწარკვეთილებაში არიან ჩაცვივნულნი, რადგანაც მათი მარჩენალი ხარები ლამის ყველას ხელიდგან გამოეცალოს. 20 ივლის. ჭირთან საბრძოლველად სოფლად დადიან ბეითლები და, ყოველსავე ღონისძიებას ხმარობენ, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამცხრალა ეს სენი. სენის გაჩენისათანავე ადგილობრივმა მამასახლისმა, ბ. თევდორე თარგამაძემ, მაშინვე ყოველივე აცნობა, სადაც ჯერ იყო, და სათანადო მთავრობისაგან გამოგზავნილ იქმნა აბაშის საზოგადოებაში ბეითალი ბ-ნი ი. ან. უგინჩუსი და ერთი ბეითალ-ფერშალი. ბ-ნმა უგინჩუსმა მთელი აბაშის საზოგადოება გაჰყო რამდენსამე პუნქტად, დააყენა თვითეულს პუნქტში საკმაო რიცხვი საბეითალო დარაჯთა, დააწესა კარანტინი აბაშის საზოგადოებაში შემოსასვლელ გზებზედ და თვითონ ფერშლითა და მამასახლისითურთ ყოველ დღე დადიოდა სოფლიდგან სოფლად, სადაც კი ჭირი მძვინვარებდა და საჭირო განკარგულებას იძლეოდა. ბეითალისა და ბეითალ-ფერშლის გარდა, საგუბერნიო მთავრობამ გამოჰგზავნა აბაშის საზოგადოებაში პოლიციის მოხელე ბ-ნი ს. ჩიკვაიძე, რომელიც დადიოდა, როგორც აბაშის, ისე მუხაყრის საზოგადოებაშიაც, სადაც აგრეთვე დააზარალა მცხოვრებნი საქონლის ჭირმა. გარდა აბაშისა და მუხაყრის საზოგადოებისა, საქონლის ჭირმა დიდად დააზარალა ზემოხეთისა და ნანეიშვილისეულის საზოგადოებანიც, რომელიც ოზურგეთის მაზრას ეკუთვნის. დიდად სამწუხაროა ის გარემოებაც, რომ საქონლის ჭირთან საწინააღმდეგოდ ვერავითარი წამალი ვერ მოუგონია თანამედროვე მედიცინას: ექიმები მხოლოდ იმ საშუალებას ხმარობენ, რომ ამოწმებენ საქონელს და, თუ ჭირიანი აღმოჩნდა, მაშინვე მოაკვლევინებენ და დაამარხვინებენ. საქონლის მოკვლის დროს რამდენისამე კაცისაგან არჩეული კომისია საქონელს აფასებს და ექიმი აქტს ადგენს. ამბობენ, რომ ყოველ მოკლულ საქონელში პატრონი მიიღებს ხაზინიდგან იმდენს, რამდენადაც საქონელს შეაფასებს კომისიაო. ესეც კარგია, თუ დაპირება მართალი გამოდგა. როგორც სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, 20 ივლისიდგან 15 აგვისტომდე დაჰხოცეს 79 ჭირიანი და 27 საეჭვო საქონელი, სულ ორივე რიგისა—106; ეს საქონელი შეაფასა კომისიამ 2,862 მანათად.

ამ ანგარიშში, რასაკვირველია, არ შედის ბეითალ-ფერშლის მოსვლამდე ჭირისაგან მოკლული 5 სული მუშა ხარი და არც საბალახო მთებზედ ამავე დროს მოკლული და დახოცილი საქონელი. რომ ცოტათი უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მთელის აბაშის საზოგადოების ზარალი, აქვე მოვიყვან ჩემ მიერ შეკრებილს ცნობას ჯერ-ჯერობით მხოლოდ აბაშის სოფლის შესახებ. სოფელ აბაშიდგან მთაზედ გაგზავნილ საქონელთაგან ჭირით დახოცილი და ექიმებისაგან მოკლული 98 ხარი, 4 ძროხა და ორი ხბო. ეს მარტო სოფელ აბაშაში და, თუ მხედველობაში მივიღებთ მას, რომ მთლად აბაშის საზოგადოება კიდევ ექვსი სხვა აბაშის ოდენა სოფლებისაგან შესდგება და თვითეულს მათგანს საბალახოზედ გაგზავნილი საქონელი გაუწყდა, მაშინ ადვილი მისახვედრია, თუ რა დიდი უბედურება სწვევია წელს ხსენებულ საზოგადოების მცხოვრებთ. ასეთი უბედურება ჯერ არასოდეს არ უცდია აბაშის საზოგადოების მცხოვრებთ.

წინანდელი ბეითალი და ფერშალი აგვისტოს შუა რიცხვებიდგან გადაყვანილ იქმნენ სენაკის მაზრაში და აბაშის საზოგადოებაში 13 აგვისტოს მოვიდა სხვა ბეითალი სოხუმის ოლქიდგან ბ-ნი თ. პ. სნიატინოვსკი ერთის ფერშლითა და ერთის საბეითალო დარაჯით.

მელქისედეკ მიდოსვაძე.

## „ივერიის“ ფოსტა

**ჭ—ახ. ლ. მ—ლს.** თქვენი წერილები დაიბეჭდება.

**გ. ნ—ძეს.** თქვენი ნათარგმნი «იაპონური ლეგენდა» არ დაიბეჭდება.

**ბარდ-ეკალას.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ნ. ე—ლს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**პ—ეს.** თქვენი ეტიუდი «სულ ტყუილია, ტყუილი», სამწუხაროდ, ვერ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 აგვისტო.

**მუკდენი**, 24 აგვისტო. (რეიტერი). იაპონელნი მთელის დღის განმავლობაში ესვრიან სერებიდან, რომელიც მდებარეობს გზიდან აღმოსავლეთად მიმავალ ჯარებისა. ღამე, 23 აგვისტოს, იაპონიის ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა ჩვენის ქვეითა ჯარების მომეტებულს ნაწილზე. რუსის არტილერიაც ბინავდება სერებზე იაპონელთა ბატარეების პირდაპირ, რომ დაიცვას რუსის ჯართა უკან დახევის გზა. ზარბაზნები და სხვა ბარგი მიაქვთ

---

ბიანო, ხიზნებს სულს „უხუთავენო“ და სხვა რაღაცაები, რისთვისაც მე სოფლის ყრილობაზედ გავამათრახე (დუმს) მოვეცა ღვთის წყალობა, მე იმას ზურგის კანი ავუხურე.

**ირაკლი.** ჰოო! ისა ბრძანდება? ხა, ხა, ხა! სულელი, სულელი. ალბად ეხლაც მიჩმახა რამე თავად-აზნაურობაზედ, რომ ნესტორი გაუბრაზებია.

**კატო.** უეჭველად აგრე იქნება.

გამოსვლა მესამე.

(შემოდის მოკრძალებით ნიკო ლაქია).

**ირაკლი.** რაო, ბიჭო?

**ნიკო.** ერთი ვიღაც გლეხი გიახლათ და დოხტურს კითხულობს, ბატონო.

**ფონ-ბილლერ.** ამ სოფლის მცხოვრებია?

**ნიკო.** არა, ბატონო, დიოკნისელია!

**ფონ-ბილლერ.** დიოკნისამდე რვა ვერსია, ვგონებ!

**ირაკლი.** ცოტა მეტი.

**ლუკა.** თერთმეტია!

**ფონ-ბილლერ.** აჰა!.. მაშ კარგი... წადი, უთხარი, თუმანი გამოგზავნოს!

**ნიკო.** ორი მანეთის მეტი არ გააჩნია, ბატონო! შეიბრალეთ.

**ფონ-ბილლერ.** ეგ მე არ შემეხება, ჩემო კარგო. მამა ჩემს ჩემს აღზრდაზედ 15,000 მანეთი დაუხარჯავს; მე რომ ასე გავაიაფო ჩემი ცოდნა, როდის უნდა ამოვიგო მშობლების დანახარჯი ფული? მადროვეთ რამდენიმე ხანი, მომეცით საშუალება დავიბრუნო 15,000 მანეთი და გაძლევთ პირობას, 10 მან. მაგიერ, 5 მანეთს დავჯერდეთ.

**კატო.** Конечно! (ბიჭს) და ესეც რომ არ იყოს, ვინ მოგცა უფლება, გამომეჭიმო აქ და მიადვოკატო?!

**ნიკო.** ძლიერ ბეჩავი კაცია, კნეინა, და იმიტომ გავბედე.

**კატო.** ეგ შენი საქმე არ არის, უტვინო! წადი და, რაც გიბრძანეს, ის აასრულე! (ნიკო გადის).

**კატო.** არ გაჰყვეთ თუმან ნაკლებ, რობერტ ადოლფიჩ! კარგად ვიცი დიოკნელების გაიძვერობა!

**ლუკა.** საზოგადოდ მოვალედა ვრაცხ ჩემ თავს გაგაფრთხილოთ, ექიმო, რომ თქვენ გლეხკაცის ძონძებს არ მიაქციოთ ყურადღება.

**ფონ-ბილლერ.** აკი არ ვაქცევ! მე კარგად ვიცნობ ბრბოს გაუმაძღრობას. ერთი მაგალითი შებრალებისა და თავზედ წაგაჯდებიან!

**კატო.** რობერტ ადოლფიჩ! იცით, ვინ გირყვნით ავადმყოფებს?

**ფონ-ბილლერ.** სხვა ვინ იქნება, თუ არ ის ჩემი პსიხოპატი, ლოთი, collega გრუშნევსკი, რომელიც ოცსა და ოც-და-ათ ვერსს, ფეხით მიჩანჩალებს ხოლმე და ისიც უპრაგონოთ! Охъ, Боже милосердный, когда изведутся эти адамовскіе, старые ханжи! აი, თუნდ გუშინდელი მაგალითი ავიღოთ!

**ყველანი.** აბა?

**ფონ-ბილლერ.** კაცს, ბატონო, ავადმყოფობის გამოცნობაც აღარ შეუძლიან და ექიმობას მაინც თავს არ ანებებს. ამას წინად ერთი აქაური მჭედელი გამხდარიყო ავად, მიეწვივნათ გრუშნევსკი და იმას ფილტვების ანთება აღმოეჩინა, მაშინ როცა პლევრიტი იყო. ექიმი წასულიყო, მის მიერ შეზავებულ წამლებს, რა თქმა უნდა, ვერ ეშველა ავადმყოფისათვის. მიმიწვიეს მე. მოგეცათ ღვთის წყალობა, მე ისინი გავათახსირე; მაშინ კი დააღეს პირი, როცა იმისი წამლები და რეცეპტები ფანჯრიდან გადვისროლე? ხა ხა! ხა!

გამოსვლა მეოთხე.

(შემოდის ნიკო).

**ნიკო.** ფულად, ბატონო, ორი მანეთის მეტი ვერ მოუხერხებია და ისიც სხვისაგან უსესხნია მამასისხლად. დანარჩენ რვა მანეთში ერთად ერთი ძროხა მყავს და ის მიირთვითო.

**ლუკა.** (ჩუმად) გამოართვით, რობერტ ადოლფიჩ, გამოართვით! Это, вѣдь, цѣлая находка.

**ფონ-ბილლერ.** რა გაეწყობა. კარგი... მოიცადოს ერთი-ორი საათი. (ნიკო გადის).

**კატო.** სადილს შემდეგ წაბრძანდით, რობერტ ადოლფიჩ!

**ირაკლი.** რასაკვირველია. მერე დღეს, იცით, რა გემრიელი სადილი გვაქვს?

**ფონ-ბილლერ.** ვიცი, ვიცი!

**ირაკლი.** მაშ, რადგან სადილად დღეს ერთადა ვართ, მოდით მანამ ჰადრაკს გავკრათ, ექიმო!

**ფონ-ბილლერ.** არა ვარ რაღაც მაგის გუნებაზედ დღეს!

**კატო.** გინდათ მუსიკით გაგართობთ, ბატონებო!

**ფონ-ბილლერ.** ჰადრაკისა კი რა მოგახსენო და, თუ მუსიკით გაგვაბედნიერებთ, დიდათ დაგვავალებთ.

**კატო.** კარგი, მაგრამ რა დავუკრა?

**ფონ-ბილლერ.** აი, ის... მე რომ მარში მიყვარს!

**კატო.** (ადგება) დიდის სიამოვნებით?

**ფონ-ბილლერ.** (ერთს წამოდგება, თავს დაუკრავს და ჯდება. კნეინა გადის სტუმრების მისადებ ოთახში და გაჰკრავს კლავიშებს არტისტულად და ისე ხელოვნურად დაუკრავს, რომ ყველანი განაბავენ სულს. რა დაასრულებს, კნეინა ერთს მაგრად დაჰკრავს და გამოდის ზალაში, რისთვისაც აღტაცებული ვაშა დაუჯილდოვებს, შემოირბენს აივნიდგან ექიმი ფონ-ბილლერი).

**ფონ-ბილლერ.** Божественная княгиня! Достойная ученица знаменитаго композитора! великъ вашъ талантъ! (ხელზედ ემთხვევა. ლუარსაბიც იმის მაგალითს მიჰბაძავს. შემდეგ სუთიძე წამოიწევს წინ, მაგრამ ჯერ ფარისევლურად დაიგრიხება და, თითქოს დიდათ აღტაცებული, შეჩერდება, რომ სული მოითქვას).

**სუთიძე.** რა გითხრათ და რა სიტყვებით შეგამკოთ, დიდად პატივცემულო კნეინა! რა ენა გამოხატავს იმ ქებათა-ქებას, რომელიც თქვენ მარგალიტ თითებს ეკადრება, ასულო ივერიისავ! ასიოდე რომ ჰყავდეს მაინც ბედ-კრულ საქართველოს შენისთანა დამამშვენებელნი, მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. (მივა და ისიც ემთხვევა კადამაშებულ ზრდილობით; უკველსავე ამას ირაკლი გაბრწყინვებული შეჰყურებს და, ამაყად მდგომი, მიუახლოვდება ცოლს და ჩაეკონება).

**ირაკლი.** მეც ვამაყობ შენით, ჩემო ვერიტუნია. კარგი მყევხარ, კარგი და მით ჩემ ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ეხლა კი დავსხდეთ და სადილობამდის ვიჭუკჭუკოთ. დასხედით, ბატონებო, დასხედით. (უეცრად შეჩერდება) მართლა... Катя, какой позоръ!

**კატო.** რა ამბავია?

**ირაკლი.** ლუკა რომ ვერ გავაცანი ამდენს ხანს ლუას?!

**კატო.** ოჰ, მართლა... Ну, ничего! ლუკაც ჩვენია და გვაპატიებს. აბა, ლუა გაიცანი. ეს ჩვენის ოჯახის მოკეთე და ჩვენი სოფლის თვალსაჩინო პირია. ლუკა სუთიძე.

**ირაკლი.** ინტელიგენტი.

**კატო.** (ლუკას) ლუკა! გაიცანი, ეს ინჟენერი ლუარსაბ გელოვანიძეა.

**ირაკლი.** აგრეთვე ჩვენი ოჯახის მეგობარი და შკოლის ამხანაგი ჩემი, პეტერბურგში ერთ დროს ვსწავლობდით (ხელს ჩამოართმევენ ერთმანერთს).

**ლუარ.** დიდად სასიამოვნოა, დიდად სასიამოვნოა!

**ლუკა.** კეთილ-შობილ და განათლებულ კაცის გაცნობა ჩემი ერთად ერთი სიმდიდრეა.

(სხდებიან ყველანი).

**ლუარ.** თქვენი გვარი თითქო მეცნობა! სუთიძე... სუთიძე (იგონებს რაღაცას) არ ვიცი... რომელსამე გაზეთში ხომ არ თანამშრომლობთ?

**ირაკლი.** დიაღ, გაზეთებშიაც თანამშრომლობს და, ესეც რომ არ იყვეს, პოპულიარულ ლუკა სუთიძეს მთელი კავკასიის დიდ-კაცობა იცნობს: დაწყებული მთავარ-მართებლიდან სოფლის ბოქაულამდე.

**ლუა.** მით უკეთესი, მით უკეთესი.

**ირაკლი.** აბა, ეხლა კი მოჰყე, ლუკაჯან, ქალაქის ამბები. რა ნახე, ვის ნახე, როგორი დროება გაატარე. (ჯიბეში ჩაიდებს ხელს და სიგარებს ეძებს). ოჰ! სიგარები კაბინეტში დამვიწყებია. ლუა, მასესხე ერთი ცალი (მიაწოდებს ლუარსაბი და სუთიძისკენაც გაექანება, მაგრამ დაასწრობს, მაიბრუნებს და შეაჩერებს).

**სუთიძე.** ბატონო, შენი ჭირიმე, რადა სწუხდებით?!

**ლუარსაბი.** არაფერია... რა შეწუხებაა... (ჩამოართმევს სიგარას). თქვენ, რობერტ ადოლფიჩ, ვგონებ, არ ეწევით.

**ფონ-ბილლერ.** არა... გმადლობთ. (ალბომის ფურცლებს ათვალიერებს).

**ირაკლი.** კატიუშა, უბრძანე, გენაცვალე, ხილი მოგვართვან.

**კატო.** ამ საათში (გადის მარცხნივ).

**ირაკლი.** აბა, ლუკა, მოჰყე ქალაქის ამბებს.

**ლუკა.** რა გნებავთ, კნიაზო, მე რომ არ მენახოს. გამწიეს და გამომწიეს. ხან სად მათრიეს და ხან სადა. ერთის სიტყვით, შემჭამეს კაცი. უბედურება სწორედ! არ გაიჩენ ნაცნობებს, არ გაერევი საზოგადოებაში, გამოყრუვდები, გაიჩენ და ყველანი უნდა დააკმაყოფილო, რომ ცხვირები არ ჩამოუშვან, ჯერ იყო და ჩასვლის უმალ, ყოვლად-სამღვდელო ვინახულე. იქიდგან დავკარ ფეხი და წერა-კითხვის საზოგადოებაში შევიარე და ვნანობ.

**ირაკლი.** რატომ?

**ლუკა.** შევედი თუ არა, მთელი ჩვენი მოღვაწეები ხელ კარებზე შემეფეთნენ. მტაცეს ხელი და ხუთის წუთის განმავლობაში სულ ჰაერში მაფრიალებდნენ. «ეხლა კი აღარსად გაგიშვებთო. შე ოხერო, რომ ჩამჰვდარხარ იმ სოფელში, რას გამოელიო». ის კი ავიწყდებათ, ბატონებო, თუ რა დიდია საზოგადო მოღვაწის როლი პროვინციაში. როგორც იყო, იმათ თავი დავაღწიე...

(ამ დროს გზაში რაღაც ხმაურობა ასტყდება. ყველანი ყურებს აცქვეტენ). სუს!

ტრ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

მუკდენს, როგორც შარა გზითა, ისე რკინის გზით. გზები საძაგელ მდგომარეობაშია, მთელი დღე ძალზედა სწვიმდა. რუსის ჯარის უმთავრესი ძალა ჩრდილოეთისკენ მიმოიძვრის.

**ვაშინგტონი**, 25 აგვისტო. (რეიტერი). ტაკომოდან, (ვაშინგტონის შტატია) იუწყებიან, იქაურს ვაჭრებს ამბავი მოსვლიათ, იაპონიის ნავსადგურებში გასაგზან ფქვილს საცალოზე მოემატა ათი ცენტი ომის გამო.

**იალტა**, 25 აგვისტო. დიდის გოლვის შემდეგ, სამხრეთ ნაპირზე უხვად მოვიდა წვიმა.—უცბად გარდაიცვალა ნავთსადგურის უფროსი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**, 25 აგვისტო. იარმუკობა გათავდა. ვაჭრები შარშანდელზე 20% ნაკლები იყო. უწინდელზე ბევრი ვექსილები გაასაჩივრეს.

**მინსკი**, 25 აგვისტო. მდინარე ნემანის მახლობლად ორი სხვა რკინის წყარო აღმოჩნდა.

**კიევი**, 25 აგვისტო. კიევის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭომ შეიტანა კიევის წითელ ჯვრის კასაში 75 ათასი მანეთი, აქედან 25 ათასი მან. დაჭრილთა და ავადმყოფთათვის შორეულ აღმოსავლეთში, 25 ათასი მან. მეომართა სახლობების შესაწევნელად და 25 ათასი მანეთი ექიმთა და სანიტართა სახლობებისათვის.

**ლონდონი**, 24 აგვისტო. (რეიტერი) ოფიციალური გაზეთი იუწყება, მეფემ უბოძა სამეფო—ჯაჭვი ორდენ ვიქტორიისა რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორებსა.

**ნოვოროსისკი.** ჩაჰყარეს საძირკველი სარდაფებისა მევენახებისა და მეღვინეთა ამხანაგობისა, რომელიც შენდება იმიტომ, რომ აქ მოუყარონ თავი და შეინახონ შავი ზღვის პირის ღვინოები, რომელიც მოსდით სოფლელებს და კერძო მემამულეებსა. საშუალება აღმოუჩინეს მელიორატის კაპიტალიდან. სარდაფი მზადდება 30 ათასი ვედროსათვის.

26 აგვისტო.

**პეტერბურგი.** შორეულ აღმოსავლეთიდგინ ოფიციალური ცნობები 25 აგვისტოს არ მოსულა.

**ჩიფუ**, 25 აგვისტო. (რეიტერი). ჩინელების ცნობით, პორტ-არტურთან 14-დან 18 აგვისტომდე ბრძოლა იყო. პირველ ორ დღეს ორივე მხარე გაცხარებულად იბრძოდნენ, უკანასკნელ დღეებში კი იაპონელნი მხოლოდ თავგანწირვით იცავდნენ აღებულს პოზიციებს. ეს პოზიციები იმდენად მაგარია, რომ რუსებმა არავითარი ძვირფასი მსხვერპლი არ დაიშურეს მათ წასართმევად, რისგამოც მეციხოვნეთ ძლიერ ბევრი დააკლდათ. 18 აგვისტოს იაპონელემა ყველა პოზიციებიდგან უკან დაიხიეს.

რუსთა მზვერავ პატარა რაზმს, პალიჯუანიდგან მომავალს შუშიინამდე იაპონელნი არ შეჰხვედრიან. 17 აგვისტოს, დაბრუნებისას, მზვერავებმა შეჰნიშნეს თხრილში ერთი იაპონელი, რომელმაც გააგდო თოფი ხელიდგან და გაიქცა. რუსებმა ხელთ იგდეს აქ სხვა და სხვა ინსტრუმენტები, მაგრამ შენიშნეს თუ არა, რომ ბატარეიბის უკან დიდძალი იაპონელები იყვნენ, საჩქაროდ დაბრუნდნენ ციხეში. მზვერავთა მეორე რაზმმა აღმოაჩინა იაპონელთა მოწინავე სანგრები, რომელიც ჯერ მტერს არ ეჭირა; შემდეგ შეჰხვდნენ იაპონელებს და გაიმართა სროლა, რომლის დროსაც იაპონელთა უმრავლესობა ამოსწყვიტეს, დანარჩენნი კი გაიქცნენ. იაპონელნი მოუმზადებელი დაჰხვდნენ მზვერავებს.

**ლონდონი.** (რეიტერი). ლონდონში მყოფ კორეის საქმეთა რწმუნებულს, «რეიტერის სააგენტოს» წარმომადგენელთან საუბრის დროს, დაცინვის კილოთი მოუხსენებია კორეასა და იაპონიას შორის დადებულ შეთანხმების ხელშეკრულობა და უთქვამს, ამ ხელშეკრულობას პროტექტორატობის თანასწორი ძალა არა აქვს და სავალდებულოდ მიაჩნიათ, რომ ამ ხელშეკრულობის ძალით კორეაში იყოს საფინანსო ნაწილის მრჩევლად უცხოელიო. ასეთივე მნიშვნელობა აქვს დიპლომატიურ ნაწილებში უცხოელ მრჩევლის დანიშვნასაცაო.

**ჩიფუ**, 26 აგვისტო. (რეიტერი). ჩინეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ცინჯოუს ნავთსადგური, პეკინსა და ნიუჯუანს შუა უმთავრეს გზაზედ მდებარე, მსოფლიო ვაჭრობისათვის ღიააო.

**ტიანძინი**, 26 აგვისტო. (რეიტერი). ერთად-ერთი ბატარეია, რომელიც იაპონელებმა აიღეს პორტ-არტურთან, არის ორი შაკავაშანის მახლობლად მდებარე ბატარეა და «მტრედის ნავთ-სადგურიდანა და ლიაოტშანის კანდელიდგან ჩრდილოეთით მდებარე ორი საბარო ბატარეია. იაპონელთა უმთავრესი საარტილერიო პოზიცია «მგლის გორაზეა».

**ჩიფუ**, 22 აგვისტო. (რეიტერი). კონტრ-ადმირალმა ურიუმ მიიღო ინსტრუქცია, რომ დარჩეს თავის ესკადრით შანჭაის მაღლობზედ, ვიდრე პორტ-არტურს იაპონელნი პირობით ჩაიბარებდნენ.

**ლონდონი**, 26 აგვისტო. (რეიტერი). კუროკის ლაშქარში მყოფი «რეიტერის ირწმუნება“ სააგენტოს კორესპონდენტი რომ ანპინთან მიტანილ იერიშის დროს იაპონელთა შუაგულს ლაშქარს შესამჩნევი ზარალი მოუვიდაო. მარჯვენა ფრთაზედ იაპონელთ გაიმარჯვეს. რუსები არა ცდილან იერიშისთვის იერიშითვე გაეცათ პასუხი მტრისათვის. იაპონელთა მარჯვენა ფრთის ჯარმა დავლად აიღო 8 საბარო ზარბაზანი რომელიც ძნელად რუსებს მისადგომ მაღლობებზედ ჰქონდათ გამწკრივებული. რუსები თავგანწირვით იცავდნენ ბატარეიებს და ასე რომ ქვებსა და ყუმბარის ნამტვრევებს ესროდნენ.

**ბაუბანძი**, 25 აგვისტო. (რეიტერი). ყოველ დღე გადის მუკდენის რკინის გზის სადგურიდგან 80 ვაგონი, სულ დაჭრილებით სავსე. შრაპნელებისაგან ჭრილობა საშინელია. დიჭრილთა მომეტებული ნაწილი საავადმყოფოში მიყვანამდე გზაზედ იხოცებოდნენ.

**ლონდონი**, 26 აგვისტო (ბერლინით). გუშინდელ გაზეთებში მუკდენიდან გამოგზავნილი დეპეშებია მიღებული, რომლიდანაც სჩანს, რომ კუროპატკინი არ ფიქრობს შეებრძოლოს მტერს არც მუკდენში, არც ტელინში.—რუსის ლაშქრის უკან დახევა ძალიან გაძნელებულია დიდი წვიმების გამო.

**ტოკიო**, 25 აგვისტო. (რეიტერი). კუროკის ლაშქარი მიიწევს წინ ჩრდილოაღმოსავლეთად მუკდენიდან იმ აზრით, რომ შეხვდეს რუსის უმთავრეს ჯარსა. სარწმუნო წყაროებიდან გადმოცემული ამბებიდან სჩანს, რომ იაპონელები რამდენიმე საათის შემდეგ აიღებენ მუკდენსა. ამ ჟამად ქალაქიდან სამხრეთად საშინელი ბრძოლაა არიერგარდებისა.

**ლონდონი**, 26 აგვისტო. (რეიტერი). «რეიტერის სააგენტოს» კორესპონდენტი, რომელიც კუროკის ლაშქარშია, იუწყება, ბრძოლებში 10-დან 18 აგვისტომდე, ანპინის დაჭერამდე, იაპონიის ყუმბარებმა მთელი საათობით შეაყენეს რუსების მოძრაობა. იაპონიის ქვეითა ჯარმა იერიშის დროს შინელები გადაჰყარეს, რომ უფრო თავისუფლად ემოქმედნათ. იაპონელნი გადაცვივდნენ რუსების თხრილებში და აღმართეს თეთრი ბაირაღები წითელის ზოლებითა, მთების ფერდობებზე შეიჯიბრნენ, თუ ვინ პირველი ავიდოდა მთის წვეროზე. თითქმის ყველა რუსები დახოცეს იმ ალაგს, სადაც იყვნენ. იაპონელებმა სამი ტყვედ წამოიყვანეს.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
24 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,70 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—$7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $91^1/_8$ მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | $88^1/_2$ ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 384 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 296 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 253 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |


# განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т—во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
„Лилейное Молоко“

**„ცოდნა“-ს**
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება:

| | |
|---|---|
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული | 50 გ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა | 2 მ. 50 კ. |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| ბაში აჩუკი აკაკისა | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) | 5 კ. |
| დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქრუა (ხალხური ზღაპარი) | 5 კ. |
| სამი ზღაპარი | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი | 1—50 კ. |
| » » » პატარა | » 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა | 1— „ |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა | „—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად | „—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები | „—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა | „—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა | 1—„ „ |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. | 1—„ „ |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი | 1— „ „ |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9— „ „ |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით | 3— „ „ |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკრ. | 1—60 კ. |
| ანტონ ქათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა | 1— „ კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია | 2— „ „ |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ | „—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული | „—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა | 2—„ „ |
| დავით გურამიშვილი | 1— „ „ |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. | 1—80 „ |
| Вступл. Грузіи въ сос. Рос. Имп. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა | 1— „ „ |
| ამირან-დარეჯანიანი | 1— „ „ |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის | 1— „ „ |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა | „—40 კ. |

თხუზლებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა, ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასა | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო | „—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

# ოდესელი ოსტატი

იღებს ხვადასხვა **სატოკრო** საქმეს.

ამზადებს ჩოხის საუკეთესო მასრებს სპილოს ძვლისაგან იაფად, აგრეთვე იღებს შესაკეთებლად და პირის გადასაკვრელად ქოლგებს. ოქრომჭედლების რიგი, სახლი გერმანისა, № 25.

ოსტატი ივანე იანთაშვილი.

Одесскій токарный
# МАСТЕРЪ
**принимаетъ разныя токарныя заказы**
Приготовляетъ всѣ наилучшіе газири изъ слоновой кости.
Починяетъ и покрываетъ зонтики
Серебряный рядъ, № 25, домъ Германа.
(6—2). *Иванъ Янташвили.*

# ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

**ადრესი:** ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(14—266—9). ალ. გ. საათაშვილი.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

# ლალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

მსწრაფლ მბეჭდავი
# სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომია.

საუკეთესო სააგარაკო ადგილები
# ზედ სურამის მახლობლად
მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,
# ისყიდება
იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.
იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)


Дозволено цензурою Тифлисъ 26 августа 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарій